ეროვნული
ბიბლიოთეკა

OWP

Coding for common good.

შეგვეხმიანეთ, თუ თვლით, რომ
თქვენი იდეები, გამოცდილება
ან ინფორმაცია შეიძლება
გამოსადეგი და
ურთიერთსასარგებლო
იყოს.

PX 4578/1
n 221/834

გაიგეთ მეტი
ჩვენს ვებსაიტზე:

www.owp.org.ge

ააიპ ღია ვებ-პროექტები
2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვართ გამოცდილი დეველოპერებისა და სოციალურ თემებზე მომუშავე ადამიანების გუნდი, რომლებსაც საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაჭრის საერთო ხედვა გვაერთიანებს. საკუთარი და მსოფლიოს გამოცდილება გვაჩვენებს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ბევრი მსგავსი პრობლემის დაძლევისა და პრევენციის საუკეთესო გზაა.

ჩვენ ვართ არაკომერციული, ტექნოლოგიური ორგანიზაცია და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციური იდეების განვითარებას; ვქმნით პროექტებს ღია, თავისუფალი და ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების მხარდასაჭერად, გახსნილი და ურთიერთგაზიარებაზე დაფუძნებული IT ინდუსტრიის ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენ ვაკავშირებთ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სოციალურ თემებზე მომუშავე ადამიანებს, დეველოპერებსა და უფლებადამცველებს, დიზაინერებსა და სამოქალაქო აქტივისტებს, რათა ერთობლივი ძალისხმევით და კომპეტენციით შევქმნათ საერთო სარგებლის მომტანი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტები და სერვისები.

გვაქვს მიზანი, რომ ჩვენი საქმიანობის შედეგად დაგროვილი გამოცდილება და პროექტები დაეხმაროს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მეზობელი და სხვა ქვეყნების საზოგადოებებსაც; მჭიდროდ ვითანამშრომლოთ და გავუზიაროთ ცოდნა საერთო ღირებულებების მქონე ორგანიზაციებსა და ჯგუფებს

მიმდინარე პროექტები

ქართული ვებ-შრიფტები

მსოფლიოში ვებ-შრიფტების ბუმია და ამ ტრენდს საქართველოც უერთდება. CSS3-მა და სხვა ტექნოლოგიებმა ვებსაიტზე ნებისმიერი შრიფტის გამოყენება გახადა შესაძლებელი და ამ შანსს ყველა დიზაინერი იყენებს. ჩვენ გვსურს, შევქმნათ უფასო ქართული უნიკოდ-შრიფტების ბაზა, hosted-გადაწყვეტილება დეველოპერებისთვის, სადაც ერთიანად იქნება ხელმისაწვდომი ყველა არსებული შრიფტი, მოწესრიგებული ტექნიკური პარამეტრებით, საავტორო უფლებებით და ოპტიმიზირებული წაკითხვადობით სხვადასხვა სისტემების ბრაუზერებისთვის.

OPEN SOURCE ელ-კომერცია

ინტერნეტ-გაყიდვები უზარმაზარ შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ მსხვილ ბიზნესს, არამედ მცირე ზომის ორგანიზაციებს და ინდივიდუალურ მეწარმეებსაც. თუმცა ბევრისთვის, მაღაზიის დეველოპმენტი კვლავ რჩება ფუფუნების საგნად. ჩვენ შევქმნით open source ელ-კომერციის ძრავს, რომელიც GNU GPL ლიცენზიით გავრცელდება და გამზადებული ექნება ქართულ ბანკებთან, გადახდის და სასაწყობე სისტემებთან ინტეგრაციის მოდულები. იგი მნიშვნელოვნად გააიაფებს და გაზრდის ონლაინ-მაღაზიების ხარისხს. ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ძრავის hosted-ვარიანტი, სადაც საკუთარი მაღაზიის შექმნა მხოლოდ რამდენიმე კლიკით იქნება შესაძლებელი.

საქველმოქმედო შეთავაზებები

საქართველოში შეთავაზებების უამრავი საიტია, რომლებიც ერთ პრინციპზე მუშაობენ - კომპანიები სხვადასხვა პროდუქტზე და სერვისზე კოლექტიური შეძენის ფასდაკლებებს ამზადებენ. ამ პრინციპით იმუშავებს საქველმოქმედო პორტალი, სადაც მომხმარებლებს ყოველდღიური აუცილებლობის პროდუქტების იაფად შეძენა მათთვის შეეძლებათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ჭირდება. პროექტის გუნდი იმუშავებს კომპანიებთან, უზრუნველყოფს ფასდაკლებული პროდუქციის განთავსებას და შეარჩევს თვეში ერთ თავშესაფარს ან დახმარების საჭიროების მქონე სხვა ადამიანებს, რომელთაც მათთვის შეძენილი პროდუქტები გადაეცემათ.

LIVE-ბლოგინგის სერვისი

მაღალი მნიშვნელობის და აქტუალური მოვლენების გაშუქებისას (არჩევნები, აქციები), ახალი ინფორმაცია შეიძლება ყოველ წუთს და მრავალი სხვადასხვა წყაროდან შემოდიოდეს. ამ დროს, ონლაინ მედია-საშუალებებისთვის მოქალაქე-ჟურნალისტების ჩართვა, ინფორმაციის ეფექტური თავმოყრა და მკითხველისთვის კომფორტული მიწოდება უმნიშვნელოვანესია. Live-ბლოგინგ სერვისებს მსოფლიოს მედია დიდი ხანია იყენებს, თუმცა ხარისხიანი გადაწყვეტილება ძვირი სიამოვნებაა. ჩვენ ვქმნით ღია სერვისს, რომელზე წვდომაც ქართულ მედიას უსასყიდლოდ გადაეცემა.